

გულნარ სარაიშვილი

სელის არაში



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2012

რედაქტორი — **ლუარა სორდია** ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
გალაკტიონ ტაბიძის მედლის მფლობელი და  
რამოდენიმე აკადემიის აკადემიკოსი.

© გ. ხარაიშვილი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-839-9

## ნათელი სევდის პარადიგმები ფიქტური გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაზე

ოცდამეტოე საუკუნეებ მემკვიდრეობით მიიღო გაფეტიშე-ბული ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, შხამით გაჯერებული იდეოლოგიის მომაკვდინებელი ბაცილები, რომელიც არა-თუ განეიტრალდა, მასონობის, გლობალიზაციის მოძღვრებით გა-ჯერდა, მსოფლიოს მხსნელის მანგრია მოირგო, გაუგონარი კატაკლიზმების რეჟისორად იქცა და არამხოლოდ მცირე ერებს უქადის გადაშენებას, კოსმიურ ტრაგედიებს უდებს სათავეს. სამწუხაროდ, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და ტრადიციული ღირებულებების რღვევა ისტორიაში, ფილოსოფიაში, რელიგიაში, ლიტერატურაში გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია.

ოსტატურად შენიდბულმა კეთილდღეობის ილუზიამ მოწამლა მილიონები და მოსყიდულთა არმია გადაგვარებით ემუქრება მა-მაპაპეულ, პუმანურ იდეალებს. სასაცილოდ იქცა ეროვნულობაზე, მშობლიურ გენზე დაფუძნებული ორიენტირები და არსებობს სა-შიშროება, რომ „გადაშენებით დასრულდება გადაგვარება“, როგორც ბრძანებდა სულკუროთხეული შერაბ კოსტაგა.

ასეთ კრიტიკულ დროს გადამჩჩნის მისაას ყოველთვის მხატვრული სიტყვა იღებდა ხოლმე თავის თავზე და სიახლის პაროლით მოვლინებული გამანადგურებელი სულისკვეთების ბოროტეულ ძალას ყოველთვის მარადიული ფასეულობების ფარს აგებებდა.

საბედნიეროდ, ისევ გვყვანას ქრისტეს მებალეები, „ქვეყნად მოსული უფლის ბალის მოსაშენებლად“, რომლებიც ეროვნულ წის-ქვილებს ისევ მხნედ დარაჯობენ არსობის პურის საფეხვად, ხოლო

მშობლიური ვაზის მტევნებიდან არა წყალგარეულ ღვიძოს, არამედ ნამდვილ ზედაშეს, „სიბრძნის ღვიძოს“ წურავენ.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში შესასვლელ კარს ძალიან გარკვევით აწერია „ენა, მამული, სარწმუნოება“.

პოეტი ქალის მხატვრულ სიტყვას ხუთი პოეტური და ერთი პროზაული კრებულით გავეცანი.

მისი წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული მაღალზეობრივი ადათ-ტრადიციები, ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით.

მეფისტოფელის მომძლავრების, აფსულების თარეშის ჟამს პოეტი ცდილობს ეროვნული გენის, ძირების, ფესვების, ეროვნული ტრიადის — ენა, მამული, სარწმუნოება — ერთგულება ჩააგონს თაობებს. და ეს ჩამორჩენილობა კი არა, წინსვლის ურთულესი გზების გაკვლევაა, გინაიდან, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იმეორებდა ლაპბნიცის სიტყვებს „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

ტრადიციული პოემისადმი გულგრილობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა, რაც, უბირველესად, სიუჟეტის ოგნორინებასა და ამ ჟანრის ლირიკული ლექსის ტრადიციებთან მიალოებაში გამოვლინდა.

გულნაზ ხარაიშვილი ჯიუტად ერთგულებს ტრადიციულს, თანაც აკრისტისადმი მიღრეკილებით გამოიჩინა, თუმცა არც ლირიკულ პოემას ემიჯნება, რომლის ნიმუშიცაა „გაჟა ეგრისელი“.

ბუნებრივია, პოემის მიზანია დიდი პოეტის, ტიტანური „კოლხური ფსალმუნების“ ხუთგომეულის ავტორის ურთულეს სამყა-

როსთან მიახლოება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაფიქ-  
რი მიღწეულია.

ვაჟა ეგრისელი დახასიათებულია, როგორც კლდის ვეფხვი,  
ლომი, მთის არწივი, მისი სიბრძნისა და მშეენიერების სამყაროს მა-  
ხასიათებლებია ზღვა, ოკეანე, ქარი, მუხა, მზე, სხიფი, ია, ვარდი, ია-  
სამანი, ვერხევი, წყარო, ცა, ხიდი, ოქროს მეტაფორები.”

კოლხი „ქრისტეს მხედრის“ ლექსები სახელდებულია, რო-  
გორც ქარვის თვლები, დიდი ცოდნა, ფსალმუნები, ლოცვები, სუ-  
ლის მზრდელი გალობა, სულიერი შიმშილის დასაპურებელი სიტ-  
ყვა, სულის სანთელი, სიტყვის პარმონია.

ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი თვისება მისი სასწაულმოქ-  
მედი ძალაა და, გულნაზ ხარაიშვილის დაკვირვებით, ვაჟა ეგრისე-  
ლის სიტყვის სეისმური ძალა ნიანგსაც აძინებს თვით „კოლხური  
ფსალმუნების“ ავტორი თავის ლირიკას წინასწარმეტყველ ელისე-  
საიდით მიცვალებულის გამაცოცხლებელ სიტყვის ბალახს უწო-  
დებს, ხოლო თავის სიტყვაში ჯადოსანი სირინოზების დამატყველე-  
ბელ ძალას ხედავს.

მინიატურაში „უმანკოებამ პოეზიით ფრთები გაშალა“, საუ-  
ბარია იმაზე, რა ზემოქმედება იქნია ვაჟა ეგრისელთან შეხვედრაშ  
გონებაარეულ ახალგაზრდებზე, როგორ მიაძინა მისმა ლექსებმა  
მათში თავქარიანობა, როგორ შეასხა პოეზიამ ფრთები შიჩქმალულ  
უმანკოებას და სულ სხვა სადინარი მისცა მოზარდის ვულკანურ  
ენერგიას...

ლექსში „დიდო მგოსანო“ „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი  
შედარებულია ქართული სიტყვის სამ გენიასთან: აკაკი წერეთელ-  
თან, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძესთან.

ვინც იცნობს ვაჟა ეგრისელის პოეზიას, ეს აზრი არც უსაფუძლოდ მოეჩვენება და არც მკრეხელობად.

პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა სიკვდილის თემას ორი პოემა და ერთი მოთხოვნა უძღვნა..

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სიკვდილი ყველაზე უფრო იდუმალი, ამოუცნობი, თავზარდამცემი, მარადიული პრობლემაა და ამ საიდუმლოებებით სავსე მოვლენის ამოცნობა უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, მიღმურ სამყაროში ჭვრეტის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს.

პოეტი ამბობს: „და რა კაცია, ვისაც წამით სიკვდილისათვის სიცოცხლეშივე ერთხელაც არ მოუკრავს თვალი“ ვაჟა ეგრისელი.

სიკვდილის პრობლემის გაანალიზებას მიეძღვნა ეგვიატური და ტიბეტური მკვდართა წიგნები, ამ მოვლენის სტადიების გაცნობიერებას ეხება „მზადება სიკვდილისათვის“, „გარდაცვალების ხელოვნება“, „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1990 წ.

ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები იჩრმუნებიან, რომ სააქაოსა და საიქიოს შორის ჩინური კედელი არ არსებობს, პირიქით, მუდმივი კონტაქტია და ეს „კომუნიკაცია“ რეალურია, ამიტომაც სიკვდილის საიდუმლოების გაცნობიერების საშუალებას იძლევა კლინიკური სიკვდილის გადამტანთა ნაამბობის შესწავლა და გაანალიზება.

„ცოცხალი მკვდრებთან გსაუბრობ“, აცხადებდა ვაჟა-ფშაველა. აღნიშნავენ, რომ მიცვალებულები აფრთხილებენ ცოცხლებს, მიანიშნებენ მოსალოდნელ მოვლენებზე, გვეხმარებიან სიზმრებით, ხილვებით მომავლის განჭვრეტაში.

ცნობილია, რომ დაწეს გარდაცვალების შემდეგ ვერ იპოვეს „ღვთაებრივი კომედიის“ მეცამეტე თავი, რაც თავსატეზი გახდა. რვა თვის შემდეგ შვილს გამოეცხადა მამის აჩრდილი და მის წავლა, სად ინახებოდა ხელნაწერი და მართლაც მიკვლეულ იქნა მეცამეტე თავი.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ გამოეცხადა ჰამლეტს სიზმანში მამის აჩრდილი, რომელმაც სასახლეში დატრიალებული თავზარდამცემი საიდუმლო ამცნო.

ყველა რელიგია იზიარებს შეხედულებას, რომ ადამიანის გარდაცვალებისას კვდება ფიზიკური სხეული, მაგრამ ასტრალური და მეტალური სხეული ცოცხლობს და აკისრია განსაკუთრებული მისია.

მიღმური სამყარო მრავალ პოეტს განუჭვრეტია სულის თვალი დაწეს, გოეთე, სასულიერო პოეზია, ვაჟა ფშაველა, ფეტი, სოლოვიოვი, ბლოკი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ვაჟა ეგრისელი.

გულნაზ ხარაიშვილი უცდომელი ინტუიციით აშექებს ამ თემას.

პოემაში „მდუღარე ცრემლი“ აღწერილია აფხაზეთელი ქართველი ჭაბუკის — ბათუ ხარებავას ნააღრევი სიკვდილი ომის პერიოდში.

ნაწარმოების ღირსებად მიგვაჩნია პიროვნული ტრაგედიის პარალელურად ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთის ჩვენება, დაფიქსირებულია სისხლის, ცრემლის ტბა, სულისშემძვრელია უცხოთა სიძულვილით სავსე ხმის მოსმენა, უცხოთა მიერ დანთებული გამანადგურებელი ცეცხლის აალება.

სოხუმში პალმის ადგილზე ბაბუაწვერა ამოსულა, გაუჩინა-რებულან თოლიები, ჭოტებისა და ბუს კიფილი ავისმომასწავლებლად ეწვეთება სმენას, ყინავს სულში.

ვარსკვლავების მოწყვეტა მიგვანიშნებს ედემისმაგვარი მხა-რესთვის თავსდატეხილ უბედურებაზე.

აჩრდილისა და ტორცლას სახით ცხადდება ქართველი მიცვა-ლებული და იძართება უხმო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის. სულის „მეტყველებას“ აღწერდნენ დანტე „ღვთაებრივი კომედია“, გოთე „ფაუსტი“, გალაკტიონი.

პოემის პერსონაჟის გამოცხადება მიღმური საუფლოდან პოე-ტის კალმის სასწაულმოქმედებამ გამოიწვია. ავტორი მედიუმია ბა-თუსა და მის შშობლებს შორის.

ყველა რელიგიაში არსებობს ღვთაებრივი სასამართლოს იდეა, რომლის მიხედვითაც მიცვალებულის სული, ცოდვები სას-წორზე იწონება და ცოდვილი ჯოჯონეთში, წმინდანი სამოთხეში მკვიდრდება, რათა თავის მარადიულ სავანეს, ზეცას დაუბრუნდეს.

სიწმინდექ და სიკეთექ ბათუ ანგელოზთა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკიფილს და ისტორიას აწერინებენ.

შემთხვევითი როდია ბათუს დანაბარები შშობლებთან, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად ილოცონ საშშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

გულნაზ ხარაიშვილს აინტერესებს არა მხოლოდ ბუნებრივი სიკედილით, ან ავადმყოფობით ჩვენგან წასულთა სატკიფარი, იგი არაკაცთა, ბოროტა მიერ ხელყოფილ ადამიანთა სულშიც იხედება და ქართული ზნეობის მიხედვით, ტრადიციული ჰუმანური მორა-ლური გადასახედიდან განსჯის დანაშაულისა და სასჯელის პრობ-ლემას.

ამჯერად საკუთარ სახლში სადისტურად მოკლული ქართველი ვაჟაცის — მერაბის ტრაგედია პოემის ცენტრში „მკვლელობა საკუთარ სახლში“. მაგრამ არც ეს პოემა ერთთემიანი. მასში ჩვენი დროის სატკიფარიც იჩენს თავს.

რუსთავში ინტენსიურია მშენებლობის პროცესი, მაგრამ უცხო ინგესტორების ხელშია ჩვენი სიმდიდრე, დაუსაქმებელია ქართველობა, ჩვენი ხალხი იძულებულია უცხოეთში მონიბის ფასადი იშოვოს ლუქმა-პური, გაყოფილია ოჯახები, ახალგაზრდობა საკუთარ ბუდეს ტოვებს და უცხოელთან ქმნის ოჯახებს, თუმცა საკითხავია, არის თუ არა ეს გადარჩენა, როცა გაუცხოებულია სამშობლო, ეროვნული სული, როცა იქმნება „ქართული სისხლის აჯაფსანდალი“.

პოემის აგტორის სიზმრებში, ხედვებშია გაცხადებული მთავარი სათქმელი. მთავარი პერსონაჟის, მოკლული მერაბის მოვლინება ხდება სიზმარში.

ცნობილია სიზმრის სახეები: განცდილის ამსახველი, კომპენსირებული, წინასწარმეტყველური, მომავლის მაუწყებელი, ახალ საქმეებზე პროგრამირებული სიზმარი, სიზმრის კაგშირი სინამდგილესთან ფრთიდი, იუნგი, დუჭნაძე, რ.ნათაძე.

სიზმარში უკაცრიელ აღგილზე აღმოჩენილ ავტორს ჭექა-ჭუხილის, მეხის მუქარა აძრწუნებს. გამოდარების შემდეგ კი ფრინველებს არწივი აუწყებს სამწუხარო ამბავს და ისინი ორ ვაჟკაცს — ბათუს და მერაბს გლოვობენ. ამ ეპიზოდს საფუძვლად უდევს საინფორმაციო ველის არსებობის რწმენა, რომლის მიხედვითაც, ამ ველში ფიქსირდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოვლენები, ხოლო იქ გასვლა მხოლოდ ნათელმხილველთ, ნათელმსმენთ ხელეწითებათ. ამასთან, ფრინველები, საერთოდ მრავალი სულიერი, მათ

შორის ორგანული სამყარო, ამ ინფორმაციის მატარებელი და გა-  
დამცემია ავისმომასწავებლად ითვლება ჩიტის გაუთავებელი ჭიკ-  
ჭიკი, ძაღლის ყმუილი, ჭოტის კიფილი.

ავტორს ნააღმდეგად გარდაცვლილი ქმის — პოეტ ბეჟან ხარა-  
იშვილის ლანდიც ევლინება და ავალებს, დაწეროს პოემა. თან აუწ-  
ყებს, რომ მერაბი სამოთხეშია, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვა-  
ნელობს...

გაუგებარ, აუხსნელ სიტუაციაში საკუთარ სახლში მოკლული  
მერაბის მოულოდნელ ტრაგედიას შეესატყვისება მისი სიტყვები:  
„იას ვთესავდი, ამოვიდა ეკალი დიდი“.

მისი სული ზეცაშია, რაც იმის დასტურია, რომ დგთის სამარ-  
თალი არასოდეს მრუდდება.

მერაბის სული შვილს ჩააგონებს, იყოს კეთილი, სხვათა შემ-  
ბრალე, მათხოვრის გამკითხავი, მშრომელი, ეროვნული ტრადიციე-  
ბის დამცველი, მამა-პაპათა მიწა-წყლის ერთგული, სიყვარულის  
მთესველი: „ზეინიგით დადგით სიყვარულის დიდი კოშკები“:

მოკლულის სული მარადიული მცველი იქნება ოჯახის, ქვეყ-  
ნის: „ხან დამე მოვალ, თქვენთან ფრთხილად მოსაფერებლად, ლო-  
ყაზე ამბორს დაგიტოვებთ ნატრულთ ბაგესი, ერთი შეხედვით ცი-  
სარტყელას ბედის გყოფილვარ, ამიტომ უცებ მოვედი და ცაში წა-  
ვედი. დედა, მე ახლა გარსკვლავებთან გავითრთამალე, ამოფოფინ-  
დეს ჩემი ჯიშის ნორჩი ფესვები“.

მტერთან დამოკიდებულება ყველა დროის, ყველა ქვეყნის აქ-  
ტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

ქართველ კაცს ამ მოვლენასთან ყოველოვის გამორჩეული მი-  
მართება ჰქონდა, რასაც სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებდა:

„გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულე-ებს“ ღუკა, 6,27

ქართულში ხალხურმა გენიაშ მტრისადმი თანადგომის საკაცობრიო ნიმუში მოგვცა „ვეფხვისა და მოყმის“ ლექსის სახით, სადაც მოკლული შვილის დედა უმძიმესი მწუხარების მომენტშიც არ იყიწყებს თავის ნაშიერთან ბრძოლაში დაღუპული მოყმის დედის ტკივილებს და მზადაა მასთან სამძიმრის სათქმელად მივიღეს: „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიღე, სამძიმარ ფუთხრა ჭირისა“.

გულნაზ ხარაიშვილი ამბობს: „ვეფხვისა და მოყმის ლექსი მე თან დამსდევეს ძმასავით“ ქარელს „ვცდილობ და ვიპრებ მტრესაც არ ვძულდე..“ დიდი, განუმეორებელი სიკეთისა და მიმტევებლობის ფონზე შუქრება გულნაზ ხარაიშვილის პოემაში მტრთან, მკგლელთან, ჯალათთან დამოკიდებულების იღეა. ავტორი მოკლულის სიტყვებით ცდილობს გამართლება არა, მაგრამ ახსნა მოუქრენის ამ გაუგონარ ტრაგედიას და ფიქრობს, რომ ან შეშლილობის, ან არასწორი ინფორმაციის, ბოროტი ენის წაქეზებით შეეძლო მკგლელს ასეთი ულმობელი ნაბიჯის გადადგმა.

მერაბის სული ოჯახს ურჩევს, რომ შურისძიებაზე არც იფიქრონ. ბიბლიის მიხედვით ხომ შურისძიება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა.

ხალხური ლექსის მოყმის დედასავით მოითხოვს მოკლული, რომ მკგლელის დედას არ გააგონონ შვილის აუგი, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნია დედისგან იყოს ინსპირირებული ასეთი სისასტატი.

ნუგეში ის არის, რომ მართალი მერაბი ზეცაშია, მკგლელი - ჯოჯოხეთში.

პოემაში ისევ ხიდი იდება ორ სამყაროს შორის, მერაბის აჩ-რდილი მარადიულად მოევლინება თავის ფუძეს : „ბევრჯერ მიხილავთ სიზმრის სახით ოთახში მაგალს, იგრძნობთ ჩემეულ სითბოსა და გასძახეთ ექოს. რიგში ვდგავარ და კვლავ მოვყვები ქორწილის მაყარის, ოკეანესაც გამოვცურავ, თუ ძალა მეყო“.

მიცვალებულის შეგონება დიდი სიკეთის მუხტის მატარებელია: „გულში აინთეთ კვლავ სიკეთის დიდი სანთელი, ალმასისფერი ჩახჩქერებით იმედი მორთეთ. გაანაწილეთ სიყვარულის ქარვის მძივები. სეგდას დაგმალავ და ზეციდან მოგეფერებით“.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიის მიხედვით, მიცვალებულის სული მიღმური სამყაროდან ევლინება და იუარავს ახლობლებს.

აჩრდილთა მოყლინებას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს.

მსოფლიოში ცნობილ დიდ მოგზაურის — ბატონ ჯუმბერ ლეგავას ძეირთვასი მეუღლის სული სდევს ფათერაკიან გზებზე და მისი ტკიფილის მიზიარე ხდება.

პოეტს მრავალგზის ევლინება გარდაცვლილი დედის ლანდი, როგორც სიზმარში, ისე ცხადში და თავის დამოკიდებულებას გამოხატავს შვილის ქცევებისადმი.

იმდენად ორგანულია პოეტისათვის ორი სამყაროს მიმართების თემა, რომ ვერც პრიზაში აღწევს მისგან თავს. მას მუდმივად ხედავენ ღირსეულთა აჩრდილები და მათი საშუალებით გვიმხელს თავის მორალურ კრედიტს.

ცრემლიანი სტრიქონებით საუბრობს გულნაზ ხარაიშვილი ცნობილი მსახიობის, ნამდვილი ქართველი დედის — ლარისა ხაჭაპურიძის შვილის — დავით გამყრელიძის შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს დაიღუპა სამაჩაბლოში გაჩაღებული ომის ხანძრის კვალდაკვალ მიმავალი.

არსებითი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი დეტალებით ცდილობს ავტორი ამ უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდის მაღალი ზნეობის წარმოჩენას. იგი ძალზე კეთილი და გულმოწყალეა, მამის ახალი ტანსაცმელი მათხოვარს მისცა დაუნანებლად.

ზაფხულის არდადეგებზე მშობლიურ რაჭაში ჩადის, წინაპრების საფლავებს წმენდს, მათ ხსოვნას ერთგულ დარაჯად უდგას, ერთ ოთახში მოწიწებით უკიდია მიცვალებულთა სურათები. მეგობრები ეხვეწებიან, გვეშინია და ჩამოიდეო.

დათო პასუხობს: „ცოცხლების უნდა გეშინოდეთ, რადგან არ იცით, ისინი რას მოიმოქმედებენ. ეს სურათები კი იმ ადამიანების არის, რომლებმაც ამ ოჯახისთვის სიკეთეები აკეთეს და მე რა უფლება მაქვს, ეს დავივიწყოო“.

წინაპრების საფლავებისადმი, ზოგადად საფლავისადმი დამოკიდებულებაში არა მარტო ერის ფიქოლოგია ვლინდება, საფლავის საშუალებით, დამარხვის წესის გარკვევით დგინდება ამა თუ იმ ხალხის საცხოვრისი, საფლავი საბუთია, დადასტურებაა იმისა, სად და როგორ უცხოვრია ამა თუ იმ ეთნოსს. საფლავი პოლიტიკური დავის საგნადაც იქცევა ხოლმე.

საბერძნეთის მეფე მინოსის ვერაგი, პოლიტიკური ჩანაფიქრის მიხედვით, ბოგანო ფრიქსე უფლისწულის მიჯით უნდა მოვლენოდა აიეტის კოლხეთს, აქ უნდა ეცხოვრა, აიეტის შვილზე დაქორწინებულიყო, აქ უნდა მომკვდარიყო, აქაურ მიწაში უნდა დამარხულიყო, რათა მის საფლავს მერე იაზონის, არგონავტების ლაშქრობა მოჰყოლოდა და ჩვენი მიწის ანექსია მოეხდინა ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. აქ წინაპარი თანამემამულის საფლავი საბაბია ჩვენს ქვეყანაზე ლაშქრობისათვის.

რეგაზე მიშველაძის ნოუელებში ქართველთა საფულავებზე უცხოთა დასაფლავება ხდება, რათა ეს ფაქტი ამ მიწებზე პრეტენზიების საფუძვლად იქცეს.

მართალი ჭაბუკის სული ზეცაში წავიდა. მისი აჩრდილი ხშირად ევლინება შვილმონატრებულ დედას და ანუგეშებს: “ზეცაში ბოროტები მოგროვდნენ. მათ სიკეთეზე უუქადაგებ, რადგან საშიშროებაა, ცა და დედამიწა არ წაიჩხუბონ, მაშინ ხომ კაცობრიობა ამოწყდება“.

„ჩემი სამშობლოს, ჩემი ძმებისთვის ზეციდან უნდა ვიღოვო“.

როცა გულნაზე ხარაშვილის ასეთ ნაწარმოებებზე ვთიქობ, მაგონდება ბერდიაევის ცნობილი სიტყვები: „ერი არის მისტიური ორგანიზმი. მისტიური პიროვნება, ნოუქენი ისტორიული პროცესებისა. ერი არ არის მხოლოდ ცოცხალთა თაობა, არ არის თაობათა ჯამი. იგი არის რაღაც დასაბამიერი ისტორიული პროცესის მარადცოცხალი სუბიექტი. მასში არანაკლებად ცოცხალობენ და მყოფობენ წარსული თაობები, ვიდრე თანამედროვენი“. ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1993, თარგმანი ზ.კიკნაძის, გვ.8, 15

...ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მოშავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარ-მიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და იმისათვის, რომ მივწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები“ იქვე, გვ.29.

მერაბ კოსტავა მიმართავდა ნაადრევად, ტრაგიულად დაღუ-  
ბულ შვილს: „კიდევ კარგი რომ ჩემთვის ირაკლი, გარდაცვლილები  
არ არსებობენ“.

გულნაზ ხარაიშვილმა შეძლო უცდომლად, ქართული სულით  
განეჭვრიტა მზეგადასულთა ქვეყანა და ამ გზითაც მიეწოდებინა  
მკითხველისთვის აქტუალური, მორალური ჭეშმარიტები...

## ლუარა სორდია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქ-  
ტორი, პროფესორი, გალაკტიონ ტაბი-  
ძის მედლის მფლობელი და რამოდენიმე  
აკადემიის აკადემიკოსი.

## „მე ვარ შროშანი“

პოეტები, ძალიან ხშირად, ერთ უცნაურ სიტყვას ხმარობენ საკუთარი ლექსის მისამართით — „დაიწერა“. მორფოლოგიას რომ გვერდი ავუაროთ, ეს სიტყვა უბრალოდ, უზუსტობაა, იგი ავტორის იქ არყოფნას გულისხმობს და ყოველთვის უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩემი აზრით, ალბათ ამაში ამპარტავნული თავმდალობაც იგულისხმება.

ამპარტავნებისა რა მოგახსენოთ და თავმდაბლობა ნამდვილად არის ამ წიგნის ავტორის, ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილის თვისება. რაც უფრო უახლოვდები პოეტ ქალს, მით უფრო მეტად აღმოაჩენ მის ბუნებაში საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. დაინახავ რომ მის „ლოყაზე ცრემლმაც დაიდო ბინა“. (“თუ შეიხედავ ჩემს სულში, ზეციური ძალით დაიმუხტები, ჩემო მკითხველო“).

ოტია ოსელიანის მსგავსად, მეც არ მიყვარს „სხვათა მოხმობა“, მაგრამ არსებობენ ტიტანები, რომელნიც ყოველი გასაჭირის და დასალინის უამს, თუ მოუხმობ, უსათუოდ გვერდით დაგიდგებიან. გალაკტიონს მოვიშველებ: „ანგელოზსაც დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“.

ნამდვილად ძნელია შეამჩნიოს ადამიანმა, ამდენ მუქ ფერებში გამომკრთალი სინათლისა და სიკეთის პანია სხივი. შეამჩნიოს და დღის სინათლეზე გამოიტანოს, მოეფეროს იმ პატარა სასიკეთო სხივს, რათა ადამიანებმა ერთმანეთის თანადგომა არ დაივიწყონ. მოდარაჯე ან ჩასაფრებული კაცი იოლად ხედავს გასაკიცხს და ეშინია სხივის მიღწევის დანახვისა, რათა თავად არ მიადგეს ჩრდილი. ასე ნელ-ნელა მოსაწყენი და საშიშიც კი ხდება სხივის ქება-დიდება, მაგრამ მრავალი დამეთანხმება, გადაჭარბებული ძვირის თქმას, გადაჭარბებული ქება მაინც სჯობია, რადგან ადამიანური ბუნება ასეთია, თუ ხშირად გაუმეორებ — ძლიერი ხარო, არ შეიძლება არ ეცადოს გაძლიერებას. ზოგჯერ დუმილი ყველაზე ბევრისთქმაა, მაგრამ დუმილიც მთავრდება მაშინ, როდესაც რაღაც გაიძულებს ხმა ამოიღო, ანდა კალამი აიღო ხელში.

გულნაზი ხარაიშვილისათვის ბევრს უთქვამს: — კალამი ხელში ამაღებინე და ლექსი დამაწერინეო. შეიძლება ვეგბერთელა ქართულ მწერლობას შედევრები ვეღარავინ შეუქმნას, მაგრამ სულიდან წამოსული სიტყვა სალბუნად რომ დაადო,

თუნდაც ერთი ადამიანის ჭრილობას, ეს ხომ დიდი მარადისობის კანონის გაგრძელება იქნება! სწორედ სხვათა ტკივილებზე სალბუნად დასადებ სიტყვას ეძიებს ქალბატონი გულნაზი, ეფერება დიდსა და მცირეს. დუმილით გვერდს აუვლის ამპარტავნებითა და შურით გაჯერებულ სხეულებს და ეძებს სიკეთის მარცვალს, რათა გულის სითბო უშურველად დააფრქვიოს და იმ პატარა მარცვლიდან ხე სიკეთისა აღმოაცენოს.

მრავალტკივილგადატანილი პოეტი ქალი, ზოგჯერ ჩაფიქრდება და იტყვის: „მეც მინდა მოფერება!“ მოსაფერებელი კი ნამდვილად არის: დედა, პოეტი, რანდენიმე კრებულის ავტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი აღმზრდელობით დარგში და ტიტულომანიას რომ თავი დავანებოთ, მშვენიერი უურნალის „ათინათი“-ს რედაქტორი და სულისჩამდგმელი.

დამტეანხმება ყველა პოეტი, როდესაც სული სხვა განზომილებაში გადადის და დიდი ძიების პროცესშია, მაშინ ლექსის ტექნიკურ მხარეზე ლაპარაკი ზედმეტია. რაოდენ ძნელია ამ დროს აკროსტიქსის არსებობა გაიხსენო კი არა, ზერთული წინადადება გამოიყენო და თავკიდური ასოებით 60, 80, 100 სტრიქონიანი აკროსტიქსი ერთი ამოსუნთქვით დაწერო. ალბათ ამისთანაზე უნდა თქვას ავტორმა „დაიწერაო“.

გულნაზი ხარაიშვილი მარტო ამ ტექნიკის ოსტატი კი არა, ერთი მუხლმოდრეკილი მლოცველია, ჩვენი უნმინდესი და უნეტარესი პატრიარქისა და სამშობლოს წინაშე დაჩიქილი და ეჩურჩულება წმინდანებს: „მაპატიე, სიტყვას გიბედავ“...

მიტროპოლიტ თადეოზს, თანამედროვე ქართული მწერლობის და მწერლების სულიერ მეგობარსა და მოამაგეს ასე ემადლიერება: „სიკვდილი მოვკალ მეუფეო... შენი იმედით“.

ქალბატონი გულნაზი ის პოეტური სულით ანთებული ქალია, რომელსაც ვინ იცის, სხვაზე ათასგზის მეტად სტკენია ის მოურჩენელი ტკივილი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, რომელსაც ზვიადის იდეებთან მდგარი, საკუთარი ძმის სახელი ჰქვია, დიდ პოეზიასთან წილნაყარი, ნაადრევად მზეგადასული ბეჟან ხარაიშვილი და რა გასაკვირია თუ მის „ხელში კალამია უნებურად დაიწყო თრთოლვა“. ასე ათრთოლებული თითებით წერს იგი სამადლობელსა და სადიდებელს მსოფლი-

ოს მოქალაქესა და მრავალგზის რეკორდსმენზე, სიცოცხლე-შივე ლეგენდად ქცეულ მოგზაურზე — ჯუმბერ ლეჟავაზე, ვისიც "უკვდავების დამდგარა ჯერი". "თონეს ახურებს დავ-რდომილი შენდა იმედად" — ეუბნება პოეტი თავისი კუთხის შვილს, ბიძინა ივანიშვილს.

საკუთარ ტკივილებში შეფუთულ ქალს, სხვისი ტკივი-ლების გათავისებაც შეუძლია და სხვათა ნუგეშისცემაც არ ეზარება. "ქალბატონო, თქვენ ჩემ შვილს ძეგლი დაუდგით"-ო, უთქვამს პოეტი ქალისათვის ბათუს დედას, როდესაც მისი პოემა "მდუღარე ცრემლი" წაუკითხავს. პოეტის დანიშნულე-ბაც ეგაა, ადამიანის სულის უფაქიზეს სიმებს შეეხოს და მისი ტკივილის სალბუნი ეძებოს დაუღალავად.

წერს გულნაზი ხარაიშვილი საკუთარ ცრემლსა და ტკი-ვილზე, სხვის ნუხილზე, წერს მეგობრებზე, საკუთარი შემოქ-მედებითვე უკვდავყოფილ მხატვრებზე, კარგად შეუმჩნევია სპეტაკი "მთვარის ჩრდილები" ილია პატაშურის ფერწერულ ტილოებზე, "შედევრები და მარადიულობა რეზო ადამიას შე-მოქმედებაში", "ცრემლში ნალესი ხმალი ნიკო ხერკელაძის შემოქმედებაში" ... ეს კიდევ ერთი დიდი მადლია და ლვთიური ნიჭი შემოქმედისა თუ სპორტსმენისა დაგსვას და განერინოს დაუსრულებელი სადიდებელი, რომელიც სულ გეჩვენება, რომ არასრულია და კიდევ და კიდევ გინდა მეტი დაწერო, მე-ტად შეაქო და მოეფერო დიდს პიროვნებას. ეს გულნაზი ხა-რაიშვილის ცხოვრების სტილია, თბილი სიტყვა არ დაიმუროს შემოქმედისათვის, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანებზე ათასჯერ მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე სული აქვს, ეს თბი-ლი სიტყვა, მარტო ადრესატს კი არა, თავად პოეტს აძლევს არსებობის ძალას.

წერს ქალბატონი გულნაზი ურთულესი ტექნიკით აკ-როსტიხით. ხშირად ამბობენ, რითმა არ არისო მთავარი პოე-ზიაში, არც შინაგანი რიტმისა მუსიკალურობისადმი იჩენს თანამედროვეობა სიმპათიებს, მაგრამ თუ კი პოეტს თავისი სათქმელის გადმოცემა არ უჭირს არც რითმიანი, არც ურით-მო ლექსით, მითუმეტეს თუ აკროსტიქსითაც იგივეს გეტყვის, რასაც ჩვეულებრივი რითმისა და რიტმის გარეშე გეტყვოდა, მაშინ რაღას უშლის ლექსს რითმა ანდა ტექნიკური სრულყო-ფილება?! იქნებ პირიქით, რაღაცით მეტიცაა პოეტური პოე-ზია პოეტურ პროზაზე?!

სათქმელის ფილოსოფიური საბურველით შემოსვას და სიღრმეებს აფასებს თანამედროვე კრიტიკული აზროვნება, ის კი ყველას ავიწყდება, რომ ჯერ მკითხველის გულს უნდა შეეხოს ნანარმოები და მერე ფრთხილად აიყვანოს თუ ჩაიყვანოს აზროვნების სიმაღლეებზე თუ სიღრმეებში. დღეს თითქოს ძალა დაუკარგავს ცნებას: "ხელოვნება ხალხისათვის" ... იმ ხალხისათვის, რომელსაც შენი ერთ ჰქვია და უბრალოდ იცის სიყვარულის, სიკეთის, თანადგომისა და სიმართლის ფასი.

გულნაზი ხარაიშვილი წერს დიდებულ ადამიანებზე, წერს უბრალო ადამიანებისათვის, თავად უნუგეშო და ცრემლმორეული, სხვათა ტკივილებს ესალბუნება და სხვას შეუშროს ცრემლები, ცდილობს. სულში კი პატარა ბავშვი შემორჩენია, ნაწვიმარი იის თვალება ბავშვი, რომელიც კარგად ხედავს ბუნების საოცრებას: "ლელში დამხრჩვალი ღამის მთვარე, დარდებთან მიწვა." ("ჩემო მკითხველებო, თქვენი ტკივილი მტკივა.")

"უღრან ტყეებში ამოსული მე ვარ შროშანი" ... ("სიყვარული ვარ") ასე მთავრდება ეს პატარა წიგნი, მაგრამ გრძელდება პოეზია, სიკეთე და სიყვარული, რომლის წყალობითაც შეიძლება "მოიხადო ღმერთთან ვალი." ასე ჩუმი ლოცვითა და ლექსად ატირებით იხდის საკუთარ ვალს, ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, გულდანყვეტილი, მაგრამ მომავლის მოიმედე პოეტი ქალი — გულნაზი ხარაიშვილი, რომელსაც "რჩება კიდევ ბევრი სათქმელი" ...

და მას აუცილებლად იტყვის მომავლში.

**თამარ ჯაჭვაძე – ფილოლოგი ჯ.ლ. სახ. მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი და უურნალ „ათინათის“ კორექტორი**



მინდა, კალეით შე...

გიგალობო,

უცეფარესო

- მ** - უხმოდრეკილი გევედრები წმინდა ილია,  
**ი** - მედი მომეც, ველარ ვუძღებ სეტყვას მოცვენილს.  
**ნ** - ავით გავცურე... მაგრამ უკვე ზღვაც დაღლილია,  
**დ** - არდმა დაძახრჩო, დავემზვანე ცელით მოცელილს.  
**ა** - კვნესებულა ქარიშხალით კავკასიონი,  
**კ** - ივილმა ჭოტთა, სამშობლოში ძილი დამიფრთხო.  
**ს** - ისი დარდობს, იცრემლება, ტირის სიონი,  
**ქ** - ომი ღრიალებს... ჩემი მიწა აღარ დამითმო.  
**მ** - იმტკიცე რწმენა, ერის მამავ, გიხმობ იმედად,  
**ი** - არები მკლავს... სიყვარულით ამაგალობე.  
**თ** - იბავენ ჩემს გულს... მაპატიე სიტყვას გიბედავ,  
**შ** - ენ შემოგჩივლებ, შენი ლოცვით დამანყალობე.  
**ი** - კლებში არის საქართველო, მიტომ ვბორგავ და...  
**ნ** - აცყვიარი ვარ, მტკიცა ძლიერ გულის არეში,  
**გ** - ალიაშია აფხაზეთი ცრემლით მოვთქვამ და...  
**ი** - მედი ჩემი მოყოლილა ყინვის ფარებში.  
**გ** - ააცისკროვნებს შენი მადლი დალიან გულებს,  
**ა** - ნეელოზებსაც შეგვავედრებ დილის მირაჟზე.  
**დ** - ოცვა-ვედრება დაამარცხებს ავის მოსურნეს,  
**ო** - უწმინდესო. სულს გვიმშვიდებ ყოველ წირვაზე.  
**ბ** - უმი აქვს „ქარბუქს“, აიხანჯლა გული თორელის,  
**ო** - მობანამ კი, კოლხთა მოდგმა ააწრიალა.

**უ** - ნეტარესო, ტირის გორი, ტირის ქარელი,  
**ნ** - ანვიმარ გულში ქარმა ბუმი დაატრიალა.  
**ე** - რს აწყალობებს, შენი სიტყვა, დიდო იმედო,  
**ტ** - ოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს, ლვთის რწმენის ძალა.  
**პ** - მიტომაა მთელი მრევლი შენ რომ მოგენდო,  
**რ** - ეკენ ზარები მოგროვდება დაშლილი ფარა.  
**ი** - რთადერთი ხარ, მხოლოდ შენი სიტყვა ვიწამეთ,  
**ს** - ასწაულს ახდენ... შენ ხარ ჩვენი სულის სალბუნი,  
**ო** -, ერის მამავ... გასაჭირში ისევ გვიწამლე,  
ხალხის იმედო, შენი სიტყვა არის „ფსალმუნი”.





მიტროპოლიტ  
თადეოზე

**მ**-ოგიანლოვდი... და შევიგრძენ უცებ ნუგეში,  
**ი** - მედი მომეც, მიწყალობე, ჩვენო მეუფევ...  
**ტ**-ირილი დავგმე, რადგან მოვხვდი ღმერთის უბეში,  
**რ**-ამეთუ შენით, ჩემს დაჭრილ გულს ტკივილს მოურჩენ,  
**ო** - მის ჭრილობებს, ლექსით აფრქვევ საკმეველს თითქოს,  
**პ**-ოეტო ღვთისავ, შენი კალმით დარდებს გამყარე...  
**ო**-ქრო არ მიყვარს... სიმდიდრისთვის არაფერს ვითხოვ,  
**ლ**-ოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავლვარე.  
**ი**-ალბუზიდან ხმები მესმის, რაღაც ახალის...  
**ტ**-ოროლას სტვენა და ლამაზი შაშვის გალობა.  
**თ**-ბილი სიტყვებით აგიგია ლექსის ტაძარი,  
**ა**-მოდის მზე და მოდის ღვთისგან დიდი წყალობა.  
**დ**-ამაიმედე... უკვდავება შენით ვიწამე,  
**ე**-სმის ჩურჩული ჩალენილ გულს, ნაზი ენძელის.  
**ო**,-დაჭრილი ვარ... სულინმინდით უკვე ვიწამლე,  
**ზ**-არის ხმა ისმის და ვიხილე ბალი ედემის.  
**ს**-იკვდილი მოვკალ... მეუფეო, შენი იმედით...  
მერე ნერგები გავახარე... სულის არეში.  
საკურთხეველთან ჩემი ფეხით, რწმენით მივედი,  
აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში.



## სიკეთის მთასვალო (ბიძინა ივანიშვილს)

- ს** - აზღვრებს სცილდება, ის სიკეთე რაც შენში არის,  
**ი** - მედის ფესვო, მინდა ლექსით მოგესათუთო.  
**პ** - ერპი ხარ ხალხის, ტკივილების დამცველი ფარი,  
**ო** - რისთვის გინდა შენ ყოველთვის სანთლად აენთო.  
**თ** - ავთუხისფერი არის შენი მადლის მანტია,  
**ი** - ის სურნელი გზად და ხიდად წითლად ბრდლვიალებს,  
**ს** - აჩხერის მხარე ზეიმობს და თბილი მარტია.  
„**მ** - უმლი მუხასთან,” ვიმედოვნებ არ იღრიალებს.  
**თ** - ონეს ახურებს დავრდომილი, შენდა იმედად,  
**ე** - ფიცხებიან გულის სითბოს, ცას სწვდება ალი.  
**ს** - ასწორზე ვწონი ჩემს სიტყვებს და მაინც გიბედავ,  
**პ** - ამაყობ შენით, ლამაზ ხვანში გაზრდილი ქალი.  
**ო** - რთხელ უბრალო გლეხის შვილს მე დიდმა უფალმა,  
**რ** - ექსების წერის სიყვარული გადმომაფქრევია,,  
**თ** - რამდენჯერმე გაგვიგლივა გული გრიგალმა,  
ახლა ამჯერად ხალხის იმედს „ბიძინა” ჰქვია.





## ღმერთკაცი

- ღ – ამჟ ვათი, სამნად სითბო გადამეთარა,  
მ – იმოვიარე კვლავ ფიჭურმით ამერ–იმერი...  
ე – ძოს ხმა ისმის... მწერები უნდა გადამეყარა,  
ტ – ას დამშვიდები, თუკი ისევ გაჩნდა იმედი.  
ო – აკარა ცრემლი შევიმშრალე თვალთა უპეში,  
კ – ალიღმი გვეურს ყანებიდან ფრთხილად განვდევნოთ.  
ა – რ ჩავისტებიმით არასოდეს, ლამს და წუმპეში,  
ც – ეცხლი დაინთო, ისცორიას თვალი ვაღვევნოთ.  
ი – წვის წარსულის ცკიფილები სკივის მკლავებში,  
გთხოვთ მეც გამიგოთ, რომ საქონე ადრე შევაძე.  
ეს საუკუნე გავიაროთ ხალხის ალერსში,  
ღმერთი შემინდობს, თუკი „ღმერთკაცს“ ჩვენს მსნელს  
შევარძებოვ.





**ალიკა შენ სიამაყე ხარ, ჩემი  
კუთხის...  
შვილივით მიყვარხარ  
(ალიკა ბერიძეს)**

- ა** – მ ლამაზ დღეებს გაცნობისას, სულ სხვა ეშხი აქვს,  
**წ** – ამაზი, თბილი, უბოროტო, დედაშვილური,  
**ი** – სე დავლლილვარ, ვერც ვიგრძენი სიზმარი ახდა...  
**პ** – მაყოფილებით გადავშალე ფიქრის დღიური.  
**პ** – ლვის ხეს ჩრდილავს შენი ტანი, მძიმე თავათავო,  
**შ** – რიალა ვერხვსაც ააცილე, ბევრჯერ ნისლები.  
**ი** – ნძელებია შენს ირგვლივ და ბედს ნუ კარგავო,  
**ნ** – ესტანისათვის ქაჯეთსაც კი შეებრძოლები.  
**ს** – იყვარულს მალავ... სჩანს გულში გყავს გამომწყვდეული,  
**ი** – მედის მარცვალს გამრავლება, ლვთით უწერია.  
**პ** – მობრწყინდება... თავს დაგიხრის შენი რჩეული,  
**მ** – ეც რა ხანია ასე ტკბილად არ მიმღერია.  
**პ** – ბა მანიშნე, შენს გულისწორს ჩავქარგავ რითმში,  
**ყ** – ინულს გაალლობს, ჩემი ლექსის მეტაფორები,  
**ე** – ნძელებს უცდი თუ ჩამდგარხარ იების რიგში,  
**ს** – ის მწვანე ტოტსაც ჩემის მხარისას მოვეფინები.  
**პ** – ჭვნობს და ახმობს, ვარდის კონებს უწყლო გარემო,  
**რ** – აა ტირიფის, უსასრულო ცრემლის ნაკადი...  
**ჩ** – ამირუმობენ, შენს გარშემო ნეშოს ფოთლები,  
**ე** – ფინებიან აქ პეპლები, როგორც ნაბადი.  
**მ** – ოლიპულ გზაზე სიარული რისკია ფეხით,  
**ი** – მედი არის ჩაგაფიქრებს ჩემი სიტყვები,  
**პ** – უკუმალობენ ვარსკვლავები ნაზი ფერებით  
**უ** – ფაქიზესად ღიმილობენ, შენს წინ ტიტები.  
**თ** – ბილი დღეები გქონებოდეს, მთელს ცხოვრებაში,  
**ს** – ის აჩრდილის ქვეშ, თეთრი წვერით ჩამოგესვენოს,  
**ი** – მედით გევლოს საქართველოს დილის ცვარ-ნამში,  
**ს** – ამშობლოსათვის, თვალთა უპე არ დაგესველოს,

- ბ** – ენში მე ვხედავ, იმერეთის გენს ჩაუჭკნობელს,  
**ც** – ინთები „ლამპრად“, როცა გხედავ ჩვენს მოძმის გვერდში.  
**ი** – მეღი არის გამითავისებ, როგორც შენს მშობელს,  
**ქ** – ომსაც შევბედავ... თუ შევხედავ, შენ რამეს გერჩის.  
**ი** – ქ ჩვენს იმერეთს, ჩვენს საჩხერეს სულ სხვა ეში აქვს,  
**ვ** – აზის ჩრდილშიაც მასპინძლობენ, გამვლელ გამოვლელთ.  
**ი** – ქ შენს სოფელში, ჭორვილაში კაცია ერთი,  
**თ** – ბილი, კეთილი, როგორ მინდა ბევრი მას გავდეს.  
**გ** – ეამაყები... სიდინჯით და ნიჭიერებით,  
**ი** – კვანწებიან შენს წინაშე დროთა წარსულნი.  
**ყ** – აყაჩოები გადაშლილან ლამაზ ფერებში,  
**ვ** – აზის ლერწები შორს არიან მაღლა ასული.  
**ა** – ლბათ მიჯერებ, რომ არ გაგცვლი საკუთარ შვილში,  
**რ** – ოგორ ვცდილობ მე სიყვარულით გული გაგიღო.  
**ხ** – ოტბას შეგაფრქვევ და შეგიტან, ჩემს ახალ წიგნში,  
**პ** – ჰა უსტარი, შენ მშობლებთან მინდა წაილო,  
**რ** – ომ მათ იცოდნენ დედასავით გავდივარ წილში.



## ჯუმრის ლეჟავა ლეგენდა

- პ** - ეგავ ბილიკებს, ცხრა წლიანი პაუზის შემდეგ,  
**უ** - ლამაზესი იმედის სულს გზებზე დაეძებ...  
**მ** - ჯერა მიალნევ სასურველი მიზნებით შედეგს,  
**პ** - ენვის ხიდზედაც გადაივლი, გაკაფავ ძეძვებს...  
**ი** - ფოფინები სასულეთში ზეცის სამყაროს,  
**რ** - ადგან იქ არის, ვარსკვლავებში შენი მნათობი,  
**ს** - ოდინი თუმც გლლის... ფარხმალი კი არ გსურს დაყარო...  
**თ** - სმის ზეცის დასს შენი ქება, კაცურ-კაცობის.  
**ზ** - ამი ჟამს მიდევს, წუთისოფელს, წუთისოფელი.  
**ა** - ისის დროსაც ბევრჯერ სეტყვა „წალკოტს“ წალეკავს.  
**ჰ** - ელი აქ კვნესის,.. ღმერთთან არის დიდი სოფელი,  
**პ** - რის განკითხვა, ცოდვიანს კი ღვთის რისხვა კენწლავს.  
**ს** - ამაზ ოცნებას მოგზაურო, აიხდენ ვიცით,  
**ი** - რთჯერ კი არა ასჯერ მოხვალ დედამინაზე,  
**გ** - ული გაქვს კაჟის, სასწაული,.. წარსულით იწვი.  
**ე** - წამე მიზნებს, შენი ფიცი მიტომ ვიწამეთ.  
**ნ** - ანატრ გაზაფხულს კვლავ ფიქრებით ეხმიანები,  
**ჩ** - იდო ლეგენდავ, ტანჯვის დროსაც გედივით მღერი.  
**ა** - ისის დილა გეგებება ლამპიონებით,  
**პ** - ქასჯერ მოხვალ, უკვდავების დამდგარა ჯერი.



## ლუარა სოლდიას

**ლ** - იცლიცს იწყებს შენი სულის სიღრმე,  
**უ** - ფრო მეტიც... დასეირნობს ცაში.  
**ა** - რ იდარდო, მტერი თუ კვლავ გიღრენს,  
**რ** -ა იცის მან შენი სიტყვის არსი.  
**პ** - სგზით სწვდები კოსმიურის ფენას,  
**ს** - ასწაულო,.. შენ ხარ სიბრძის წყარო.  
**ო**, ვერ იტან ხშირი ფოთლის ცვენას,  
**რ** - ოგორ ცდილობ ქარი დააწყნარო,  
**ი** - მედების კალთას დაატარებ...  
**ა** - ზრის სიტყვებს ბლუჯა-ბლუჯა კონავ,  
**ს** - იბრძნის ღვინოს მტვერს არ გააკარებ,  
მსურს გაიგონ შენი სიტყვის წონა.





## შაბუას შეღევრები მარადიულია

- ჭ — ავლი რას უზამს შენს შედევრებს,  
პ — ზრთა კონიდან გილიმის ვარდი.  
პ — ულბულიც ნაზად გულში გიმღერებს,  
უ — უფალი ციდან ღვთიურ ნიჭს გბარდნის.  
პ — რავინ არ გგავს, არავის გავხარ,  
ს — ულ სხვაა შენი „წიგნის“ შედევრი,  
შ — ენ შენი სტილის მესაჭედ დგახარ...  
ი — ს მომიტევე, შენთან შევჩერდი.  
დ — ავწერე გულით ცხელ-ცხელი სიტყვა,  
ჰ — ფიქრობ ცოტათი სითბოს გაჩუქებ...  
რ — ოზგიც მომხვდა და ქარიც მეხს მირტყავს,  
ი — ხლაც წყლის ღორჯვო ბერავს ლაყუჩებს.  
პ — ევრი მეფობს და მეფე ცოტაა,  
ი — ცი?.. ერთი ხარ ამირეჯიბი...  
მ — იამიტებით ყვავთა კორტნაა,  
პ — ნ რას დაგაკლებს, მავანთა ჯიბრი.  
რ — ეკავს ღვთის ზარი, მწვერვალს გასცილდი,  
ა — გალიარეს ქრისტეს მებალედ...  
დ — იდო მწერალო, ღოცვებს მარცვლიდი,  
ი — ქ კალმით, ზეცის კარი გააღე.  
უ — ახლოვდები მზესა და მთვარეს,  
ს — ურჯი ზღვასავით აზრს აკამკამებ...

Ո — յնեղ Շենաხար Տօմֆուդոս արք,  
Ֆ — նդա անատեղ ծնելլետմո լամես.  
Ոլուցեղ զուցո խալես եսնուսատվուս  
արուս ցոռցուլնո ծեզրո յրժուաց.  
Ռոմ, մմաս դաշտմո յայնուսատվուս,  
Ռոմ, ցանմյուտեազո մեռլուգ լմյուրտուս.





**შენ, ერის სულის მოძღვარო  
(ჟუჟუნა ნიუარაძე – მაჭავარიანს)**

- გ** — ენს ხელებში ქვაც მეტყველებს,  
**თ** — ნას იდგამს კლდეში წყარო...  
**ნ** — ექტრით მოსავ გულის ველებს,  
**ი** — ხლა მივხვდი შენ სად ჩქარობ.  
**რ** — იგში დგახარ... მზის სხივს იწევ,  
**ი** — რმის რქით სვამ სადლეგრძელოს...  
**ს** — ასწაულობ... წინ მიიწევ...  
**ს** — ილამაზითაც ძირძველობ.  
**უ** — ლამაზეს ვარდებს რგავდა...  
**ქ** — ოცვით ღვთის კარს გამოაღებ,  
**ი** — ქნებ ვარდიც შენ ერთს გგავს და...  
**ს** — იტყვა გიგავს ტკბილ რძის ნაღებს.  
**გ** — ათხოვრისთვის ხარ სალარო,  
**ო** — რი ლუკმით დააპურებ...  
**ძ** — მებს მოყვრობ და დისთვის ქნარობ,  
**ჩ** — მერთიც ციდან გადმოგყურებს.  
**ჰ** — იშვიშს იწყებს კალმის წვერი...  
**პ** — რ იშურებს სიტყვის ნობათს,  
**რ** — ეროს ჩუმად გულში მღერის.  
**ო**, — გიცხადებს ლექსიც ნდობას.

**თუ შეიხადავ ჩემს სულში,  
ზეციური ძალით დაიმუხტობი, ჩემო მკითხველო...**

- თ** — უ დაგჭირდები ვიქცევი საბნად,
- უ** — ფაქიზესო, ჩაგსვამ უბეში.
- შ** — ური შორს ჩემგან, მტკივა და აბად,
- ი** — ნით მსურს ბევრჯერ მოგცე ნუგეში.
- ი** — ცის სულებმა მათთან, რომ ვსტუმრობ,
- ხ** — ანდახან როცა მენატრებიან...
- ე** — ნძელებს ვკოცნი, ჰო, არა ვხუმრობ,
- ჩ** — ედის ცრემლებით ამტირებიან.
- ა** — რ მინდა ვინმემ დარდით იაროს,
- ჟ** — ეფერები და ნამლად ვედები.
- ჩ** — ემად ყველა რომ გავიზიარო,
- ი** — კლებშიც იქნებ ვნახო ედემი.
- გ** — უმლი მესევა, წინ ბურუსია,
- ს** — აით გადავდგა ნაბიჯი წეტავ.
- ს** — ეტყვა ცვივა და ცივი სუსხია,
- უ** — ღრან ტყეებში სიარულს ვპედავ...
- წ** — ოცვა ვთქვი... თავი დაბლა დავხარე,
- შ** — ევშფოთდი... ღმერთმა ხმა მომაწვდინა:
- ი** — შედი ხარ და ყველას დამხმარე,
- ზ** — ზღვა ტკივილებით ცრემლებს განწიდა.
- ე** — ღვის მათრახით გავროზგავ ყველას,
- ც** — აზე დიდი გაქეს ტკივილით გული.
- ი** — ა ხარ ნაზი, ხან ცისარტყელა,
- უ** — ჩუმრად ბრძოლობ დარდნამოსხმული.
- რ** — იოში არა, ბროლის ხარ მძივი,
- ი** — რმის შვილი ხარ, დაეძებ დედას,
- ძ** — აძით შემოსილს თუ შვილზე ჩივის,
- ა** — ქარწყლებ იმის დარდსა და სევდას.
- ჟ** — ოცვა გამშვიდებს, იმედი უფლის,
- ი** — ღიმი მაშინ, მზეს ხედავ როცა.
- თ** — ოვლის სუსხსაც შენ არასოდეს უფრთხი,
- ღ** — იდ ტკივილებს კი გიმშვიდებს ღოცვა.
- ა** — სე მოვედი მკითხველო შენთან,
- ი** — მედებს მოგცემ, რაც გამაჩნია.

- გ** — ოდი, უსმინე ამ გულის ფეთქვას,  
**უ** — ფალი ლოცავს, ვინც შემამჩნია.  
**ხ** — ის ჩამოხლეჩილ ტოტზეც კი ვტირი,  
**ტ** — კივა და ცრემლი ცვივა მერქნიდან.  
**ი** — ნა არა აქვს, არც სახე-პირი,  
**ბ** — უნება კაცად ხომ არ შექმნიდა?!  
**ო** — ა-იაებსაც ბევრჯერ გაჩუქებ,  
**ჩ** — ამიჩის ჩირით ჩაგიტყბობ პირსაც...  
**ე** — რთი ვარსკვლავი ჩემიც აშუქებს,  
**ბ** — იღიმის, ალბათჩამთვალა ღირსად.  
**ო**, — როგორ, მინდა ცის ცისარტყელებს,  
**გ** — ივეფაქიზო მეც ჩემებურად.  
**პ** — უნაპეტ ღამეს აფოთქილ ტყემლებს.  
**ი** — მედის ქუდი, რომ დაუხურავთ.  
**თ** — უკი შემხვდება ანკარა წყარო,  
**ხ** — არ-ირემივით ჩავიკლავ წყურვილს...  
**ჰ** — არდო, ეკლები არ გამაკარო,  
**ე** — ცლება მინა, ჩემს ლამაზ სურვილს.  
**ქ** — ოყაზე ცრემლმაც დაიდო ბინა,  
**ო** — ცნებებს კვლავ აქვს იმედი ხვალის,  
 არ დაიჯეროთ, რომ მშვიდად მძინავს,  
 ვერ გადვიხადე ტკივილის ვალი.



გული მსურს მოგცეთ, მე სახელად “სიკეთე” მძვია.

**გ**—ულს მოგცემთ და... წვიმის დროსაც შეგიფარებთ,

**ჟ**—ლამაზეს ვარდს გაჩუქებთ გაზაფხულზე,

**ქ**—ოცვით იმედს ტანზე საბნად დაგაფარებთ,

**ი**—ებს დავრგავ წინაპართა ნაფეხურზე.

**ბ**—ოვრნყავ ლექსით გამოფიტულ სულის ნაყოფს,

**ს**—ასაფლაო გამითხაროს თუგინდ მტერმა,

**უ**—ნდა მენდოთ, შეგახვედრებთ ყველას სამყოფს...

**რ**—ომ იცოდეთ ამას შევძლებ, რადგან მჯერა.

**ს**—ადღეგრძელოს შევსვამ თქვენთვის, განსხვავებულს,

**მ**—ოყვასს ვეტრფი, თუმც ეკლები მედებიან...

**ო**—მს მოვიგებ, ლექს არ დავხერ გაავებულს,

**გ**—აზაფხულდა, ჩემს უურნალში ედემია.

**ც**—რემლი წამსკდა, როს დამკანრა აკაციამ,

**ე**, არა ლირს გახსენება ამის ალბათ!

**თ**—ბილი ქურქი, მე სიკეთის, ტანთ მაცვია,

**მ**—ოქუხს რითმა, ის მეყოფა სწეულს აბად.

**ე**—რს სალბუნად, უშურველად, ჩემს გულს მივცემ,

**ს**—აუკუნის კარს შევაღებ მოფერებით,

**ა**—თინათის სიყვარულით ცის ნამს დავლევ,

**ხ**—ავსს არ იჩენს ჩემი ხელით ნაწერები.

**ე**—ნძელებმა მომახარეს გაზაფხული,

**ქ**—ურჯ ზეციდან მზის სხივები მეწვევიან.

**ა**—რის მიწაც წიქარებით გადახნული,

**ჩ**—ა გადალლილ უღელს მარჯვედ ეწევიან.

**ს**—აწმისიდან მადლი წვეთავს, მისხალ-მისხალ,

**ი**—ფრქვევიან დილის ცვარზე “ათინათად”...

**პ**—ეკლუცს იწყებს ხის ტოტი და კვირტებს ისხამს,

**ე**—კლები კი, ვარდს მოჰყვება ტანზე მზითვად.

**თ**—ოლიები წყლის სარკესთან დაფრინავენ,

**ე**—ნამებათ თეთრი ფრთები სუფთა შხეფით,

**მ**—დინარეზე ლამაზ ბუმბულს გაფინავენ,

**ქ**—არავანი დასეირნობს სწორი გზებით.

**პ**—აზი ყვავის, ხვავრიელად მტევნებს ისხამს,

**ი**—ქ, ზეცაში, ვარსკვლავს შუქი აუნთია.

**პ**—მოდის მზე, საწმისიდან მირონს მისხამს,

გულს მიცოცხლებს, გულიც თქვენთვის დამითმია!

## ჩემო მკითხველებო, თქვენი

### ტკივილი მტკივა

**ჩ**-უმად თარეშობს ქარიშხალი, ისევ მლიქვნელობს,  
**ე**-კალმა გული დამისერა, დარდმაც დამთოვა.  
**მ**-ომიახლოვდი ჩემთან მოდი, ჩემო მკითხველო,  
**ლ**-ცნებამ თქვენთვის, რწმენის ფრთები ჩუმად მათხოვა.  
**პ**-ინდა სუყველას იარები, რომ დაგიამოთ,  
პ-ონით იები დაგირიგოთ, გასვათ მთის წყარო.  
**ი**-ცრემლებიან იმედები, ვცდილობ არ გავნოთ,  
**ო**-ითოეულს მინდა, დარდ-ვარამი გადაგიყაროთ.  
**ს**-ოხბისფერია სიყვარულის მარგალიტები,  
**პ**-სტირი აგვისტოს... გულში დამჭრა კანი დამინვა.  
**ე**-კლებში არის აფხაზეთის ნაზი ტიტები,  
**ლ**-ელში დამხრჩვალი ღამის მთვარე, დარდებთან მიწვა.  
**ე**-ნაცვლებიან იმედები სევდის ავსულებს,  
**პ**-ომბმა დალენა სამაჩაბლოს სახლის კედლები.  
**ო**-მით არ უჩანს გულის სევდას დასასრული და...  
**თ**-უთიყუშივით ბუტბუტებენ ჩვენი მტრედები.  
**ქ**-არო რას ზმუი, დააყენე კორიანტელი,  
**პ**-ინ მოთვლის შენი ბოროტებით ცოდვას ჩადენილს.  
**ე**-რთხელ კი არა ბევრჯერ მცვივა შეხეგან ფახტელი,  
**ნ**-ატყვიარ გულში ალბათ ტყვიას ვეღარ გავდევნი.  
**ი**-მედი გაქრა, ტყე-პარკები როცა დაიწვა,  
**ტ**-ოტები ნედლი აკვნესდა და აალდა ცეცხლი.  
**პ**-აენის მოდგმით დედაბოძი ბევრჯერ წაიქცა,  
**ი**-ცის განგებამ რად შემძულდა, ოქრო და ვერცხლი.  
**პ**-ბრძოლობ პოეტი, მინდა ჩემს ხალხს გული გავუთბო,  
**ი**-აგუნდივით ავამაღლერო ჩემი მკითხველი.  
**ლ**-ოცვით და რწმენით ნარ-ეკლები უნდა გავთიბო,  
**ი**-აიები მოვაცოცხლო, ჩემივე ხელით.  
**პ**-იყვარს ერთგული კლდის არწივის ჩუმი ჩურჩული,  
**ტ**-ოროლას სტვენა და ბეღურას ტკბილი ღუღუნი.  
**პ**-ოცნა მნათობის, ასრულება ყველა სურვილის,  
**ი**-ანგარშიაც უღალატო გულის ღუღუნი.  
**პ**-ინ მიმიხვდება რას განვიცდი როცა სხვას სტკივა,  
**ა**-რავის სჯერა მათთან ერთად რომ მნარედ ვსტირი.

თუ სხვას არა აქვს, სევდის ცრემლი თვალიდან მცვივა,  
ვნაღვლობ ძალიან, ვემგვანები მტირალა ტირიფს.  
ჩემო მკითხველო, იმედს გჩუქნი, რომ არ იდარდო,  
ელოდე მშვიდად, ჩემი კალმით დაქროლილ ნიავს.  
ავდრების მერე, მინდა შენთან გამოიდაროს,  
გული მსურს მოგცე... მე სახელად „სიკეთე“ მქვია.





## „ათინათი“ სიყვარულის ფრთხებით შეგმოსავთ... .

- ა — რ დამზოგა კოკისპირულ წვიმამ,  
თ — ბილ ზაფხულში კვლავ მას ვებრძოლები.  
ი — მიტომაც ტკბილად აღარ მძინავს,  
ხ — არეკლებსაც აღარ ვებრალები.  
ა — თჯერ მოვკვდი... ქარი სულს არ მარჩენს,  
თ — ბილ გულს უკვე, ო, ძალიან უჭირს.  
ი — ცით? მაინც არ დავზოგავ მარჯვენს,  
ს — ისხლსაც მივცემ მათხოვარს და დუხჭირს.  
ი — ავნანას ჰანგით დაგაძინებთ,  
ყ — ინვამ ნეტავ კვლავ არ გადამდალოს,  
ჟ — იცი ტვირთი მოვიხვიე მძიმე,  
ა — რა, სეტყვავ, ხელი აღარ მახლო.  
რ — იროჭრელით გაზაფხული მომყავს,  
ჟ — ფრთო ფრინველს გავუგზავნი ვარდებს.  
ქ — ოცვით სულეთს დავუმშვიდებ მოყვასს,  
ი — ირმის რქებით ჩამოვკიდებ ფარდებს.  
ს — საქართველოს მუხლს მოვუყრი მუდამ,  
ჟ — რთებს შევასხამ სიყვარულით მკითხველს.  
რ — ეროს მღერი მზე მახურავს ქუდად,  
თ — უ გსურთ სითბო, ჩემს წიგნს მოაკითხეთ.  
ი — ნძელებს მე დაგიკრიფავთ რამდენს,  
ბ — ურუსშიაც თქვენთვის ლექსებს დავწერ...  
ი — ცით? მადლი მე კვალდაკვალ დამდევს,  
თ — ოვლშიც მიზანს მოთმინებით ვაღწევ.  
გ — ეშასავით ვიწვი საქმის ალში,  
ე — ს მიჯდება თუმც სიცოცხლის ფასად.  
ბ — აზაფხულთან მე არა ვარ ვალში,  
ბ — ინდა ბევრჯერ, რომ დაუთმო ქარსაც.

- ო** — მის კადრებს ახლა კი არ ვხედავ,  
**ს** — აქართველოს წარსულშიაც ვსტირი,  
**პ** — სი, ერთთან... ერს ქუდბედად დასდევს,  
**ჰ** — ერხვის ფოთლებს სისხლს უშრობდა ფითრი.  
**თ** — ვალზე ცრემლი ბევრი მქონდა წინათ,  
ცხრა აპრილის ქარი ზმუის ჯერაც. . .  
სამშობლოსთვის მუდამ თავს გავნირავ,  
ბედისწერამ თუ მე დამიჯერა. . .



## ათიდეთი გეიცდა ნინოს გადლითა შემოსილი



- ა** - მოდის მზე... თოვლს სხივები აატირებს,  
**„თ** - იბათვის” თვე, აბრნყინდება ათასფერად.  
**ი** - მედია შემისრულებს დანაპირებს,  
**ნ** - აზამთრ გულში, იმედებით მომეფერა.  
**პ** - ლიონზე აშრიალდნენ ხის ფოთლები,  
**თ** - ბილი სიო დაათბუნებს არემარეს.  
**ო** - წვის ალით, სალოცავში ღვთის სანთლები,  
**ნ** - ამოვდექი... ბედო, ტკივილს ხომ მაკმარებ.  
**მ** - იბალახობს ეს ზამთარი იძულებით,  
**ი** - ცოხნება... ააშენა ღრუბლის გორა,  
**ნ** - ინო წმინდავ, შენ მშველელად მეგულები,  
**დ** - არდებს უკვე, ქვა და ლორლით ამოვყორავ.  
**პ** - მოვავსე საწნახელი ყურძნის მტევნით,  
**ნ** - ამიანი მარცვლებიც მწამს არ დაჭქნება.  
**ი** - ქნებ ჩეარა ყანნით შევსვა ტკბილი წვენი,  
**ნ** - აწვიმ ბადაგს არ ვაცალო დამაჭრება.  
**ო**, - ვილოცებ ჩემს ხატებთან ყოველ დილით,  
**ს** - აუკუნეს ტკივილებით გავეტოლე.  
**მ** - უმლი მჯაბნის, მწუხარებით ველარ ვივლი,  
**ა** - თჯერ მომკლან, მაინც სხვის რჯულს არ ვიტომებ.  
**დ** - არდი თუკი ისევ - ისე მომერევა,  
**ლ** - ოცვას ვიტყვი „იმედს” ფარად ავითარებ...  
**ი** - ფქლის ღეროს, თუკი ღვარძლი შეერევა,  
**„თ** - აველს” ჩუმად ჩემს უბეში შევიფარებ.  
**ა** - ფრებს გავშლი ისევ ხვალის, მომავლისთვის,  
**პ** - რწივის გუნდს ისე როგორ დავენევი.  
**შ** - ური მძაგს და... დამითმია ბევრჯერ სხვისთვის,


- ე** - რთი ათად გაჭირვებულს შევეწევი.  
**მ** - ე თუ მტერი, ძველებურად კვლავ ამხანჯლავს,  
**ო** - მს მოვიგებ... მოთმინებით ალბათ ისევ ...  
**ს** - ინაზით და სიფაქიზით სიტყვებს ვხარჯავ,  
**ი** - აც ნაზად ბუჩქებიდან ჩუმად მიცქერს.  
**ლ** - ურჯ ზეციდან შენ გვფარველობ წმინდა ნინო,  
**ო** - ქნებ შენებრ იანუსზეც ქება გვეთქვა...  
მისი არ გვნამს... ორპირია არ გვიწყინო,  
შენი ხატით „ათინათის“ გული ფეთქვას.



## შეღევრები და მარადიულობა

რეზო ადამიას

შემოქმედებაში



- შ**—უქს ასხივებს, მზეს ირეკლავს შენი ფუნჯი,  
**ე**—ს ნიჭი, შენ, უშურველად ლმერთმა მოგცა,  
**დ**—ედო ზარს სცემ, გიყვარს ფერი — მუქი ლურჯი,  
**ე**—სმის უფალს, ჩემი კალმით მეც რომ გლოცავ.  
**პ**—ერ ჩავწევდები შენს სიღრმეთა ნიჭის არეს,  
**რ**—ოგორ ვცდილობ გზა გავკვალო, სულის ცელით.  
**ე**—ს თქვენა ხართ, მიღმიერთის ციურ მთვარე,  
**პ**—ინდ ლამეში დედამიწა შუქს რომ ელის.  
**ი**—ქ ამედოს, რომ ადარებ დილის ცისკარს,  
**დ**—იდ ვანგოგსაც ქების სიტყვებს არ დააკლებ,  
**ა**—მიტომაც ლექსს დაგიწერ ახალს, ცინცხალს,  
**მ**—ზეა შენში, ღვთის ქვაბში რომ ოქროს ავლებ.  
**ა**—ი ისე, ჩემი კალმის ფიქრის ფონზე,  
**რ**—ამდენჯერმე ვიღილინებ იდილიას,  
**ა**—ვაცეკვებ ლამაზ სიტყვებს ალიონზე,  
**დ**—იდ მხატვარზე ლექსის წერა ადვილია.  
**ი**—ის სურნელს შემოვაფრქვევ შენს ნახატებს,  
**უ**—ფრთხილდები ღვთის შედევრებს მოკრძალებით,  
**ლ**—ამაზად რომ კვლავ სიცოცხლის რჩმენას მმატებს,  
**ო**, — ცეცხლია, იწვის ფერთა აალებით.  
**პ**—ობოქარი ზღვის ტალღაა, ხანაც თერგი,  
**ა**—თასნაირ სახეებით მაჯადოვებს.  
**რ**—ა სითბოა, დაჭუუმპალობს წყალში გედი,  
**ე**—ს სიმდიდრე გულის კედლებს მიფართოვებს.  
**ზ**—ოგჯერ სივრცეს, შორს კოსმიურ ცასაც სწვდები,  
**ო**—რაგულებს აშხმარკალებ შენ ხის ფუნჯით,

**ა**—ისის დროს ფიქრის ტბასთან აყვავდება,  
**ჩ**—ა იქმნება შედევრები მეფე ქუჯის.  
**პ**—ცისკროვნებწინაპრების განვლილ გზებსაც,  
**გ**—ილიონშიც არ გადაცვლი შენს ფიროსმანს,  
**ი**—ქ მხატვრების საფლავებთან რგავ იებს და...  
**პ**—მიტომაც გიწოდებენ ლვთის დიდ მგოსანს.  
**ს**—ასწაულობ, ფუნჯით ხატავ რაღაც უცხოს,  
**შ**—ავ ღრუბლებს რომ გადადენის მიღმის იქით,  
**ე**—ფერები შენს აფხაზეთს იმედს უხმობ,  
**ბ**—აღლა დიდ ღმერთს ადლეგრძელებ, ფუნჯის ჭიქით.  
**ო**,—ამღერებ ზღვის გედივით ყველა ნახატს,  
**ქ**—არბორბალას ჩამოახრჩობ შედევრებით...  
**მ**—გონი ჩავწვდი, როგორ აკრავ სხივით არტახს,  
**ე**—რთი სიტყვით დაგიპყრია მთათა ზღვრები.  
**ჩ**—ედ-მამის სულს გაახარებ, გენიოსო,  
**ი**—სმით მშობლებს, შენი შრომით ცას რომ გასცდი,  
**ბ**—არაქა გაქვს, გულით აღარ დაიკვნესო,  
**პ**—ხლა მივხვდი იდეებს რომ ღმერთი განვდის.  
**ჟ**—ენ გახურავს, უფლის მადლის, წმინდა ქუდი,  
**უ**—სე გშვენის, მტერსაც ბევრჯერ შეშურდება.  
გაიხარე, აიცილე თოვლის გუნდი,  
და გჯეროდეს აფხაზეთიც დაბრუნდება!





## მთვარის ჩრდილები

ბატონი ილია, თქვენი ნახატების  
დათვალიერებით ზღაპრულ ლა-  
ბირინთში მოვხვდი, გზა ამებნა  
და ფერთა პალიტრაში დავრჩი

- პ**—ევრი ვიფიქრე, დამეუფლა წერის სურვილი,  
**ა**—მოვალაგე ყველა სიტყვა, რაც კი მებადა,  
**ტ**—კივილით გული მნარედ არის გულდამდუღრული,  
**ო**—მის სურათებს ნახატებში ჩვენთვის ებარდნა.  
**ნ**—ანგრევ ადგილში არხეინად სახლობს ნაღველი,  
**ო**—ხრავს ფუნჯი და დარდი ფიქრში დაბუდებულა.  
**ი**—წვის, ალშია აფხაზეთი, ტირის წალვერი,  
**ლ**—ომის ბოკვრები უცხო მხარეს დაბადებულა.  
**ი**—მიტომ დუმან ეკლესიის გუმბათები და...  
**პ**—ისი არ ჩანს, ჩანისლულა ირგვლივ მიდამო.  
**ო**—ოვლში ნაზ კვირტებს არ ეშლებათ თეთრი ბაფთები,  
**ქ**—არიშხლის დროსაც გამარჯვება უნდა ვიწამოთ.  
**ჰ**—ხედავ მხატვრობით დაგიპყრია მყინვარის ქედი,  
**ე**—სხმება ფრთები ქართვლის დედას, იძრობს მანტიას,  
**ნ**—ანვიმარ გულში აღიღინდა იმედის გედი,  
**ი**—სმის ურმული, სურათებით მირჩენ ნატყვიარს.  
**ხ**—აისრი მკლავი კვლავ გაუძლებს ურჩხულთან ბრძოლას,  
